

ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის  
N3 ბინაზე, მოქალაქეების ავთანდილი და ელიდა ვარლანიძეებისათვის  
საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიამ განხილული იქნა მოქალაქეების ავთანდილი და ელიდა ვარლანიძეების განცხადება /2012 წლის 13.02 Nგ-1274/, რითაც ითხოვენ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის N3 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის N3 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოთ მოქალაქეებს ავთანდილი და ელიდა ვარლანიძეებს /მოქალაქე ავთანდილი ვარლანიძის პირადი N60001013012; მოქალაქე ელიდა ვარლანიძის პირადი N53001012620/.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩა N10 საცხოვრებელი სახლის N3 ბინაზე /საერთო ფართობი 33,48 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 20,00 კვ.მ, დამხმარე ფართობი 13,48 კვ.მ./ მოქალაქეების ავთანდილი და ელიდა ვარლანიძეების სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონკრული განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ი.ჯიქიაშვილი.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

გ.თევდორაძე